კაკულია ხალხში გავიდა...

გვ. 2

ახალდაგებულ ასფალტზე ბალახი ბიბინებს...

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი № 10 18 - 25 აპრილი 2016 წელი\ გამოდის სამშაბათობით

რის მიმართ გამოთქვამენ პრეტენზიებს ფოთის №11 საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები? გვ. 3

უსახლკარო ოჯახები ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ გვ. 3

რამდენად უსაფრთხოა სტომატოლოგიური კლინიკები ფოთში? გვ. 4

ფოთელების მოსაზრება ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე გვ. 5

ქვეყანა მალე არჩევნების ფაზაში შევა გვ. 6

ჯანო იზორიას გამარჯვება ფოთის გამარჯვებაა (დაუმესიჯეთ ნომერზე 95335) გვ. 5

რატომ ხუჭავენ თვალს და რატომ აფარებენ ხელს ფოთში კანონდამრღვევებს?

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში 2008 წლის ომში დაღუპულთა ხსოვნის სკვერში დასვენებაც სასიამოვნოა და ჩვენი სასიქადულო გმირი ახალგაზრდებისთვის პატივის მიგებაც. ამდენად, სკვერს დამსვენებელი არ აკლია, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ადამიანებთან ერთად აქ მანქანებიც "ისვენებენ". ხშირად, არაკეთილსინდისიერი მოქალაქეები სკვერს მანქანების პარკირებისთვის იყენებენ. ამას წინათ, როცა სკვერში შევჩერდი, შევნიშნე, ახლად ამწვანებულ მინდორზე მანქანა შემოგრიალდა, კარგად "მოკალათდა" და გაჩერდა. როდესაც შენიშვნა მივეცით, გაიკვირვა -„არსად გასაჩერებელი არ არის და ცოტა ხანს ჩრდილში გავაჩერებო". ეს "ცოტა ხანი" არც მეტი არც ნაკლები, 4 საათი გაგრძელდა. იგივე განმეორდა მეორე დღესაც. მესამე დღეს კი უკვე მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ და სხვებმაც დაიწყეს პარკირება სკვერში. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები სუფრაზე სამშობლოსათვის დაღუპული იმ გმირი ბიჭების სადღეგრძელოს ფეხზე ამდგარი და მაღალფარდოვანი სიტყვებით ამბობენ. მათი სახელობის სკვერს კი ასე უტიფრად თელავენ. მეორე საკითხია, რატომ არ რეაგირებენ ამ ფაქტზე სამართალდამცავები? ის რაც ხილულია რიგითი მოქალაქეებისათვის, როგორ შეიძლება შესაბამისი ორგანოების თვალთახედვას გამოეპაროს? რატომ ხუჭავენ ამ ფაქტზე თვალს, რატომ ვერ ამჩნევენ და რატომ აფარებენ ხელს კანონდამღვევებს?

სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გახლავთ მარტო, მაგალითად, ომში წასვლა და სამშობლოს დაცვა, უბრალოდ საკუთარი ქალაქის ქუჩების დაცვა დაბინძურებისაგან, სკვერების, ხეების მოვლა განადგურებისგან ესეც სახელმწიფოებრივი საქმე გახლავთ და ყველა ადამიანი თუ სახელმწიფოს საკუთარ თავთან გააიგივებს, გვერწმუნეთ საქმე უდავოდ წინ წაიწევს. რას მოვაყოლეთ ეს ყველაფერი - საქმე იმაში გახლავთ, რომ ხშირად ადამიანები ნებსით თუ უნებლიეთ, უყურადღებობის თუ დაუდევრობის გამო უდიერად ექცევიან ირგვლივ გარემოს.

აზრი ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ, საქართველოში უძველეს წარსულში ჩაისახა, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს და მას შემდეგ მოყოლებული, თანდათანობით იქმნებოდა სამართლებრივი ნორმებიც. ნუთუ არ არსებობს ოცდამეერთე საუკუნის ჩვენს ქალაქში კანონი, რომელიც იცავს გარემოს და ბუნებას?

არსებობს თუ არა რაიმე სახის რეგულაციები მსგავს ფაქტებზე, თავდაპირველად საპატრულო ეკიპაჟის წევრებს ვკითხეთ. მათი განმარტებით, თუ ავტომანქანა სავალ ნაწილზე არ არღვევს წესებს, მათი დაჯარიმების უფლება არ აქვთ. და გვირჩიეს მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მიგვემართა. ჩვენც აღნიშნულ სამსახურს მივაკითხეთ. აქ სამსახურის უფროსი ადგილზე არ დაგვხვდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ზედამხედველობის სამსახურს არ ჰქონია მსგავსი რეგულაციების მაგალითი, რადგან არ იციან, რა კანონით უნდა იხელმძღვანელონ აღნიშნულ სიტუაციაში. კედელზე გაკრული კანონების მიხედვით, ჩვენ თავად ვცადეთ, მიგვესადაგებინა მუხლი და მიგვეთითებინა მათთვის. აღსანიშნავია, რომ ჩვენს აქტიურობას და ინიციატივას შედეგი მოყვა

დასასრული 6- გვ.

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია გმაილ.ცომ

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 568 61 04 41

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი 551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 241 122

ნანუკა ქაჯაია (ფოთი) 571 323 539

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აბებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2014 წლის ბოლოდან 20 %-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია.

და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

კვირის მიმოხილვა

კაკულია ხალხში გავიდა...

ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ფოთის მერს ირაკლი კაკულიას მოსახლეობასთან უკონტაქტობას უჩიოდა. როგორც ჩანს, მერმა ხალხის თხოვნას ყური დაუგდო, რადგან რამდენიმე დღის წინ ცენტრის უბნის მოსახლეობას შეხვდა და აკაკის ქუჩაზე მიმდინარე ორმული შეკეთების სამუშაოები დაათვალიერა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფოთის მერმა, „ქართული ოცნების" ფოთის ლიდერმა წინასაარჩევნო სამზადისი დაიწყო. ამ დრომდე ადგილობრივი ხელისუფლება გზების შეუკეთებლობის მიზეზად კანალიზაციის გრანდიოზულ პროექტს ასახელებდა. აღნიშნული პროექტი თებერვლის თვეში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერაც არ ჩანს. ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში როგორც გვითხრა: „თებერვალში, ასე ვთქვათ, გადატრიალდება პირველი ბარი, შეიქმნება დაახლოებით 150 სამუშაო ადგილი" - („მთავარი თემა სამეგრელოში", №1. 2016 წ.) ". არც ბარი გადატრიალებულა და შესაბამისად, არც სამუშაო ადგილები გამოჩენილა, მაგრამ, როგორც იტყვიან "იმედი ბოლოს კვდება" და ბარის გადატრიალებასა და სამუშაო ადგილების გაჩენამდე დიდი მოცდა არ დაგვჭირდება.

ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, ამ ეტაპზე ჩვენს ქალაქში მხოლოდ დაზიანებული ქუჩები შეკეთდება, ხოლო სრულყოფილად ახალი ასფალტის საფარის დაგება კანალიზაციის პროექტის დასრულების შემდეგ განხორციელდება.

ტრაილერების მძღოლებს აზერბაიჯანში ყოფნის დრო გაუხანგრძლივდათ

ფოთის მერიის სხდომათა დარბაზში ტრაილერების მძღოლებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მიხეილ ხმალაძის, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მერაბ არახამიას, ფოთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავჯდომარის დაპირებული შეხვედრა შედგა. დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მძღოლებს აზერბაიჯანის მხარესთან მიღწეული შეთანხმება გააცნეს. შეთანხმების თანახმად 1 მაისიდან სატვირთო გადამზიდავი ავტომანქანებისთვის საზღვრის კვეთიდან დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად განსაზღვრული დრო გახანგრძლივდა 24 საათიდან 36 საათამდე. ასევე მძღოლებს შეუმცირდათ სხვადასხვა არაოფიციალური გადასახადები 300 დოლარის ოდენობით, რის შედეგადაც 500 დოლარის ნაცვლად დღეს იხდიან 220 დოლარს. აღნიშნული შეთანხმება მიღწეული იქნა რამდენიმე თვის წინ საქართველოს ტრანსპორტის პროფკავშირების აქტიური ჩარევის შედეგად. დანარჩენი მოთხოვნა განხილვის სტადიაშია და რომლის შედეგები პრემიერის აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ დაიდება.

დედამიწის დღე გამწვანების აქციით აღინიშნა

ფოთში დედამიწის დღე გამწვანების აქციით აღინიშნა. ქალაქის მერმა და საკრებულოს თავჯდომარემ, რუმინეთის ელჩმა საქართველოში დიმიტრი ბედეამ, აფხაზეთის მთავრობის მოქმედმა თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა ლიანა დელიროვამ აღმაშენებლის ქუჩას ათეულობით ძირი ნაძვისა და ნეკერჩხლის ხე შემატეს. დედამიწის დღესთან დაკავშირებით 52 ძირი მწვანე ნარგავი დაირგო დანელიას ქუჩაზეც.

აღსანიშნავია, რომ აპრილის დასაწყისიდანვე აქტიურად მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები ქალაქის სხვადასხვა უბანში. თვის პირველ კვირას დაირგო 400 ძირი ხე-ბუჩქი, აქედან 200 ძირი მარადმწვანე ბუჩქი-9 აპრილის ხეივანში, ბარათაშვილის სკვერსა და 8 აგვისტოს დაღუპულთა სახელობის სკვერში. გამწვანების სამუშაოები ჩვენს ქალაქში მთელი თვე გაგრძელდება.

ახალდაგებულ ასფალტზე ბალახი ბიბინებს...

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ფოთში აღმაშენებელზე და რუსთაველის რკალზე ტროტუარების აღდგენა-კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. ზამთარში სამუშაოები უამინდობის გამო შეჩერდა. მართალია, გამოდარებასთან ერთად სამუშაოებიც განახლდა, მაგრამ იმდენად უხარისხოდ და მდორედ მიმდინარეობს, რომ წინა თვეს შესრულებული სამუშაოები უკვე გასასწორებელია. იმას, რომ სამუშაოები ხარვეზებით მიმდინარეობს, ამას არც ადგილობრივი ხელისუფლება უარყოფს, მაგრამ სამშენებლო კომპანიას გამოსასწორებლად დროს სექტემბრამდე აძლევს და ამბობს, რომ რუსთაველის რკალზე ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია.

ხელოვნური გრანიტის ფილები ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზეც დაიგო. აქაც სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უხარისხოდ შესრულება სახეზეა. სამუშაოს ჩაბარებამდე უკვე ამოვარდნილია ფილები, უსწორმასწოროა ზედაპირი და ა. შ. აღნიშნულ პროექტის დასრულების ვადა 2016 წლის პირველ სექტემბრამდეა. რუსთაველის რკალის ტროტუარების აღდგენა-კეთილმოწყობის პროექტის სარეალიზაციოდ, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდმა 1.369.997 ლარი გამოყო. სამუშაოებს კი ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ პ ს „ ნგინერინგ შერვის კომპანი" ახორციელებს. ძნელი სათქმელია, შეესაბამება თუ არა პროექტს ასეთი უხარისხო ტროტუარები. მართალია, ფოთში მსგავსი სამუშაოები წლებია არ ჩატარებულა და აღნიშნული პროექტი მისასალმებელია, მაგრამ ცხადზე უცხადესია და სალაპარაკო არაა, რომ თუ რამე კეთდება, ხარისხიანად უნდა გაკეთდეს და არა მოვალეობის მოხდის მიზნით. ახალდაგებული ფილა ახლავე თუ ამოცვივდა და უსწორმასწორო ზედაპირი ისევ ისე დარჩა, საინტერესოა. აქვს აზრი ასე კეთებას? ამ კითხვებით მივმართეთ ზემოთხსენებული კომპანის ხელმძღვანელს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა ჩვენთვის და უფრო მეტიც ჩვენს პრეტენზიებზე ტროტუარის უხარისხო დაგებასთან დაკავშირებით, მოკლე, ბრაზიანი პასუხით შემოიფარგლა - "ხარვეზები გასწორდება".

რაც შეეხება ეზოების კეთილმოწყობას, რომელსაც იგივე კომპანია ასრულებს. ახალდაგებულ ასფალტზე უკვე ბალახები ამოვიდა და ამ დღეებში გადათიბეს კიდეც.

„ინკნოგნიტო" ხელმძღვანელისგან რომ ვერაფერი გავარკვიეთ მივმართეთ მერის მოადგილეს ლევან ჩოჩიას, რომელმაც გვითხრა, რომ შენიშვნა მიღებულია და დაგვპირდა, უფრო ყურადღებით მიადევნებს თვალ-ყურს მიმდინარე სამუშაოებს. სასიამოვნოა, როდესაც შენიშვნას ითვალისწინებენ, თუმცა ჯერჯერობით ცვლილება არ ჩანს. მშენებლობის სამსახურის უფროს ზურაბ ყურუას თქმით კი, ჯერჯერობით სანერვიულო არაფერი ყოფილა: „ჯერ არ არის დასრულებული სამუშაოები და ხარვეზები ბოლოს გასწორდება. როცა საქმე მიდგება მიღება-ჩაბარების აქტზე, დაივლის კომისია, რა ხარვეზებიც იქნება ჩაინიშნავს და ყველაფერი გამოსწორდება".

იქნებ ჯობდეს, სამუშაოები დასრულებამდე ხარისხიანად გაკეთდეს და ისე ჩაბარდეს კომისიას?

რის მიმართ გამოთქვამენ პრეტენზიებს ფოთის №11 საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები?

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

რა პირობებში უწევთ მთელი დღის გატარება ყველაზე სათუთ და ნორჩ არსებებს ჩვენს ქალაქში? რამდენად არიან ისინი დაცულები მაშინ, როცა თავად არ იციან, რა არის კარგი და რა ცუდი? ეს კითხვები ძალაუნებურად იჩენს თავს, როდესაც ფოთის საბავშვო ბაღებს შეავლებ თვალს. მდგომარეობა მართლაც რთულია. თითქმის ჩამონგრეული შენობები, განადგურებული ეზოები, ერთმანეთზე მავთულით მიბმული ჭიშკარი, გასარემონტებელი ოთახები, დაზიანებული ჭერები და სხვა პრობლემები, რაც ამ ბაღებში შესვლისთანავე თვალში მოგხვდება. ეს არის რეალური სურათი იმ გარემოსი, რომელშიც დროის დიდ ნაწილს ატარებს ჩვენი მომავალი თაობა. მართლაც რომ დასაფიქრებელია აღნიშნული მდგომარეობა. რატომ აქვთ ზემოთაღწერილი გარემო ფოთელ პატარებს და როდის გამოსწორდება ეს მდგომარეობა, ამაზე სასაუბროდ ფოთის სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების უფროსს, მარგო ჯანიაშვილს მივაკითხეთ: “ამ პრობლემის შესახებ მთელი ქალაქი საქმის კურსშია, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებაც და ქალაქის მერიც. 2016 წლისთვის იგეგმება მეხუთე, მერვე და მეჩვიდმეტე საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. 2017 წლისთვის უკვე დაისახება ახალი ამოცანები ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისთვის. მუნიციპალური განვითარების ფონდმა უკვე გაარემონტა 7 საბავშვო ბაღი, ახლა სამს ვარემონტებთ. იაპონიის საელჩოს მიერ გარემონტდა დაახლოებით ექვსი საბავშვო ბაღი და გასარემონტებელი გვრჩება კიდევ სამი. უპირატესობას ვანიჭებთ იმას, რამდენადაა დატვირთული ბაღი ბავშვების რაოდენობით. ნაბადის ტერიტორიაზე მდებარე მეთერთმეტე საბავშვო ბაღი ყველაზე მეტადაა დატვირთული. ჩვენ აპრილის თვეში გამოვაცხადებთ ტენდერს, შემდეგ დაიწყება სამუშაოები და პირველ რიგში სამზარეულოს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, ეს არის ის გადაუდებელი ამოცანა, რის შესრულებასაც გვთხოვს სურსათის უვნებლობა. იქ ასევე შემოსაღობია ეზო, მალე გაიგზავნება სპეციალისტი, რომელიც შემოღობავს ეზოს. გარდა ამისა, გამოსაცვლელია ფანჯრები, იატაკი და ა. შ. ჩვენი სახსრებით შევარემონტეთ წყალგაყვანილობა, რამდენჯერმე შეკეთდა ჭერი. კიდევ გვაქვს ტენდერი გამოცხადებული და ყველა საბავშვო ბაღში თითო-თითო მაცივარი დაემატება. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ბიუჯეტიდან გამოიყოფა ხარჯები და გარემონტებულ ბაღებში შევიტანთ ახალ ავეჯს, ახალ დანადგარებს, ახალ ჭურჭელს, თეთრეულს, ლეიბებს, საბნებს. ევროპული სტანდარტის მოთხოვნაა, რომ ბაღის რეაბილიტაცია ითვალისწინებდეს როგორც შენობის კეთილმოწყობას, ასევე ეზოს გაკეთებას სათამაშოებით. 2018 წლისთვის დასრულდება ბაღების კეთილმოწყობის სამწლიანი პროგრამა, რომელიც პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ შემუშავებულ ახალ კანონპროექტს სკოლამდელების შესახებ, რომელიც ზაფხულში შევა პარლამენტში დასამტკიცებლად. მთავარი ამოცანაა, ბაღის ინფრასტრუქტურა ესადაგებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. 2016 წლის შემდეგ დაგვრჩება 5 ბაღი გასარემონტებელი და ყველა მათგანი გაკეთდება აუცილებლად”.

ნაბადის უბნის მაცხოვრებლებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლების თხოვნით №11 საბავშვო ბაღს მივაკითხეთ. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ნახვისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ძველ, მიტოვებულ შენობას ვუახლოვდებოდით. პირველ რიგში, აღნიშნული ბაღის გამგეს, ქალბატონ ნანა ალასანიას გავესაუბრეთ: “2011 წლის იანვრიდან გამგე ვარ. გვაქვს სამჯერადი კვება, მოდის ნორმალური, სუფთა, ყველანაირად შემოწმებული პროდუქტი. ყოველ დილით ირეკება გაერთიანებაში და ვაწვდით ინფორმაციას ბავშვთა რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისადაც გათვლილია მენიუ. რა თქმა უნდა, ბავშვები იკვებებიან ჯანსაღი პროდუქტით. ტექნიკური ხარვეზები გვაწუხებს, რაც გასაკეთებელია ლოკალურია და ვიცით, რომ აუცილებლად გაკეთდება. ქალბატონი მარგო მყისიერად რეაგირებს ჩვენს პრობლემებზე, ეზოს აზომვებისთვის იყვნენ მოსულები, საჭიროა 50 მეტრი ღობე. ეზოსთან ერთად გეგმაშია სამზარეულოს გაკეთება. სხვა მხრივ ნორმალური მდგომარეობა გვაქვს და მიუხედავად ვიზუალურად შესამჩნევი პრობლემებისა, მაქსიმალურად გვაქვს დაცული ყველაფერი. მხარდაჭერაც გვაქვს გაერთიანებიდან, გულისხმიერია ჩვენი უფროსი, ხშირად გვირეკავს, გვეკითხება და ესეც ბევრს ნიშნავს. გვპირდება, რომ პრობლემები მოგვარდება და ყურადღებას გვაქცევს სულ”. ერთ-ერთი მასწავლებლის თქმით, ბაღში სპეციალური პროგრამის მიხედვით აქვთ მეცადინეობის განრიგიც: „პირველი ცვლა სამის ნახევრამდეა, სამის ნახევრიდან სამს რომ

დასასრული 4- გვ.

უსახლკარო ოჯახები ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ

თამუნა ქითანავა
ფოთი

უსახლკარობა ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა საქართველოში. ადექვატური საცხოვრებელი საბაზისო საჭიროებაა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობისთვის. საცხოვრისის უფლების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც. სამწუხაროდ, უსახლკარობა შეიძლება პიროვნული წარუმატებლობის შედეგად შეაფასონ ხშირად საზოგადოებაში. არადა, სინამდვილეში ეს გამოწვეულია პირის ინდივიდუალური მდგომარეობისა და ხელისშემშლელი სტრუქტურული ფაქტორების ურთიერთგავლენით. ჩვენი გაზეთი აგრძელებს აღნიშნული პრობლემის გაშუქებას.

ჩვენ ქალაქში რომ კრიზისია და მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, ამის ერთ-ერთ მაგალითად კაცაძის ქ. № 32-ში მცხოვრები ორი ოჯახის მძიმე ისტორიაც მოვიყვანოთ. ტრისტან მიქაძე ცხოვრობს კორპუსში, რომელიც დანგრევის პირასაა, კორპუსს არ გააჩნია არც სახურავი, იატაკი, ჭერი, ეს ოჯახი აქ 27 წელია ცხოვრობს და 15 წელია ასეთ გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება, მიქაძეების ოჯახს ერიცხება სოციალური დახმარება და აქვთ მხოლოდ დედის პენსია, სულ ეს არის მათი საარსებო საშუალება. სხვა არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ. ტრისტან მიქაძის თქმით, ბევრჯერ შეაწუხეს კომპეტენტური პირები, დახმარებაც ითხოვეს არაერთგან, მაგრამ უშედეგოდ. მერიის თანამშრომლებმა შესთავაზეს ქირით გადასვლა 6 თვით, შემდეგ ისევ გამოგინახავთ რამესო: „სად უნდა წავიდეთ, მთავრობა რომ შეიცვალოს და ახალმა მთავრობამ გვითხრას, მე არ ვიცი, წინა ხელისუფლება ვის რას დაპირდაო, რა უნდა ვქნათ? ქუჩაში ხომ აღმოვჩნდებით? ან რატომ უნდა დავტოვოთ ჩვენი პირადი საკუთრება, ჩვენ დაკანონებული გვაქვს ეს სახლი, დაპირებული 6 თვის შემდეგ სად უნდა წავიდეთ? შემდეგ სად უნდა ვიცხოვროთ? ეს ქალაქის სირცხვილია, ზღვისპირია, როგორ არ უნდა მიაქციონ ყურადღება ამ ზონას, მაგრამ ვინაა პარტონი, ათასობით ტურისტი მოდის და სახლი ასეთ მდგომარეობაშია”. მიქაძე როგორც ამბობს, ადგილობრივი პოლიტიკოსების სტუმრობით განებივრებულნი არიან, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ვიზიტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მიქაძეები ადგილობრივი მთავრობისაგან ბინით დაკმაყოფილებას ან ბინის საყიდელ თანხას ითხოვენ. როგორც ამბობენ - ამ ბინაში მხოლოდ 2 ოჯახი

ცხოვრობს და სირცხვილია, მერიამ 2 ოჯახი ფართით როგორ ვერ უნდა დააკმაყოფილოსო.

მეორე ოჯახი, რომელიც ამ სახლში წლების განმავლობაში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, გეგეჭკორების სამსულიანი ოჯახია, რომელსაც ელემენტარული პირობებიც არ გააჩნიათ, რომ 14 წლის საქართველოს ჩემპიონ შვილიშვილს მიხედონ, რომელიც რამდენიმე დღის წინ იატაკის ჩანგრევის გამო, მეორე სართულიდან ჩავარდა. მერიის მხრიდან ბინის ქირით დაკმაყოფილებაზე ლეილა გეგეჭკორიც საუბრობს, თუმცა არც გეგეჭკორების ოჯახს აქვთ ადგილობრივი მთავრო-

დასასრული 4- გვ.

რამდენად უსაფრთხოა სტომატოლოგიური კლინიკები ფოთში?

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

რამდენად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სტომატოლოგიურ კაბინეტებში, შეესაბამება თუ არა მათი საქმიანობა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, არის თუ არა ყველა მათგანი კანონით განსაზღვრული ლიცენზიის მფლობელი? ეს გახლავთ კითხვები, რომლებიც თავს იჩენს მაშინ, როცა საქმე ეხება ამ სფეროს. სამწუხაროდ,როგორც აღმოჩნდა, ამ კითხვებზე პასუხები არც თუ ისე სასიამოვნოა ჩვენს რეალობაში. სწორედ სტომატოლოგიური კაბინეტი შეიძლება გახდეს ვირუსული ინფექციის გავრცელების წყარო. წლების განმავლობაში კონტროლის გარეშე დარჩენილი სფერო დღეს უკვე ჯანმრთელობის სამინისტროს მონიტორინგის ქვეშაა და შეტყობინების გარეშე მუშაობა კანონდარღვევად ითვლება. მაღალია სამედიცინო რისკი, როცა სტომატოლოგიური საქმიანობა მიმდინარეობს ისეთ კაბინეტებში, რომლებშიც მუშაობენ არალიცენზირებული ექიმები, არ ხდება საკმარისი რაოდენობის დეზინფექცია, ერთჯერადი მოხმარების ნივთებს რამდენჯერმე იყენებენ, არ იცავენ ჰიგიენას სწორად, არ ათავსებენ საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენებს ცალ-ცალკე და ა. შ.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს ქალაქში. ამის გასარკვევად რამდენიმე სტომატოლოგიურ კაბინეტს მივაკითხეთ.

ჯუღაშვილის ქუჩაზე მდებარე სტომატოლოგიური კლინიკა „ნინო"-ს, ექიმ-სტომატოლოგი ნინო თოდუამ როგორც გვითხრა: "ალკოჰოლზე დამზადებული, სპეციალური, თხევადი ხელის საპონი გვაქვს, რომელიც ისეთი დროისთვისაა გათვალისწინებული, როცა მაგალითად რაიმე მიზეზის გამო წყალი შეწყდა და ვერ ვიბანთ ხელებს. სწორედ ასეთ დროს გამოიყენება ეს საპონი და ყოველგვარ ბაქტერიას კლავს ხელებზე წასმით. ინსტრუმენტები სტერილდება ყოველი გამოყენების შემდეგ თერაპიულის ცალკე და ქირურგიულის ცალკე, რისთვისაც 20-30 წუთია განსაზღვრული, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო მეტ ხანს ვაჩერებთ. პირველად ირეცხება, მერე ივლება გამდინარე წყალში და გადადის ხსნარში, შორდება სხვა და სხვა ნაწილაკები, ანუ სუფთავდება და ივლება ცხელ წყალში, გაირეცხება, გამშრალდება და თავსდება სასტერილიზაციო ერთში, სასტერილიზაციო ორში, მერე იონიზატორში იფუთება. ფერმენტულად დახურულ სივრცეში ხვდება ყველა პროცედურის გავლის შემდეგ. გერმანული,ყველაზე მაღალი ხარისხის ხსნარები გვაქვს - ეს არის მიზოფრომინი. მუშაობის დაწყებისთანავე,რა თქმა უნდა,გვიკეთია ხელთათმანები. რაც შეეხება სამედიცინო ბახილებს, მათ კლინიკაში შემოსვლისთანავე იცმევს, როგორც ექიმი, ასევე პაციენტი თუ სხვა. რაც შეეხება ნარჩენებს, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო: ცალ-ცალკე გვაქვს ჩვეულებრივი და სამედიცინო ნარჩენების ყუთები. ბასრი და მჩხვლეტავი ნარჩენები ერთად თავსდება. მერე მოდიან სპეციალურად ამისთვის თვეში 2-3 ჯერ, მიაქვთ და ანადგურებენ. ეს ყუთები იყიდება თბილისში, სპეციალურ მაღაზიებში, ვაძლევთ შეკვეთას და ჩამოგვაქვს".

26 მაისის ქუჩაზე მდებარე კლინიკის უფროსი გივი ქებურია გახლავთ. ექიმსტომატოლოგის ასისტენტის მონიკა კოკაიას თქმით: "ეკომედთან" გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული და მას ევალება ნარჩენების გატანა. ყველა ოთახში დევს ყუთები- სიცოცხლისათვის სახიფათო ნარჩენებისთვის ცალკე და უსაფრთხოებისთვის ცალკე. გვაქვს წინსაფრები, ნიღბები, ხელთათმანები, ხსნარები. იწმინდება და იქლორება კედელი, იატაკი. ასევე ყველა ოთახშია კვარცის ნათურა. სტერილიზაცია ხდება წნევით და ორთქლით, გვაქვს სტერილიზაციის ჟურნალი და ვაკეთებთ აღრიცხვას- რომელ რიცხვში რა გაკეთდა, რამდენი თერაპიული პაციენტი იყო და რამდენი ქირურგიული, რომელ საათზე ჩაირთო სტერილიზაციის აპარატი, რამდენ წნევაზე გასტერილდა, რამდენი წუთი მიმდინარეობდა და ა. შ. ყველა ოთახშია კვარცის ნათურა და ყოველ დილით ვრთავთ 40 წუთი, ამასთანავე ჰაერის გასუფთავებისთვის გვაქვს იოლიზატორი, ასევე კლინიკაში ცალკე ჰაერის გამწოვი გვიყენია. ინსტრუმენტები მუშავდება სამნაირი ხსნარით და აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ თავსდება ავტოკლავში, სადაც 3 ატმოსფეროა და 3 ბარზეა წნევა. ულტრაბგერითი სარეცხი საშუალება სპეციალური დანადგარია, რომელშიც საიდენტიფიკაციო ხსნარი ისხმება და რეჟიმის მიცემის შემდეგ სტერილდება. აქედან ამოღებული ინსტრუმენტები ჯერ რიზოფორმაში, შემდეგ კვარცში ცალ-ცალკე იფუთება. მას აქვს სპეციალური აპლიკატორი და ინდიკატორის საშუალებით ვხვდებით, გასუფთავებულია თუ არა ინსტრუმენტი სრულად".

იმერეთის ქუჩაზე სტომატოლოგიური კაბინეტის მფლობელი ეკატერინე ბიგვავა როგორც გვეუბნება, იგი ინდმეწარმეა და სრულიად კანონიერად მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ, ექიმიც ლიცენზირებულია და კაბინეტიც: „ყველაფერს ვაკეთებ ინსტრუქციის მიხედვით, როგორც წესითაა განსაზღვრული. დილით, როგორც კი შემოვდივარ, ვაკეთებ აღრიცხვას ჟურნალში - რა, როდის და როგორ გაკეთდა. დაბინძურებული ინსტრუმენტი ჯერ თავსდება ხსნარში, მერე ირეცხება გამდინარე წყლით, შემდეგ მიდის ლიზოფორმინში, ბოლოს კი ხვდება სტერილიზატორში, გადის ულტრაიისფერ სხივს. ჰიგიენას რაც შეეხება, კაბინეტში მაქვს ერთჯერადი ბახილები, ხელთათმანები, ნიღბები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია. ხსნარი მაქვს ბევრნაირი: ხელის ხსნარი ცალკეა, ხელთათმანის ცალკე, საპონი თავისთავად და როცა პაციენტი დგება ბუნიკების დამუშავებით დაწყებული, ყველაფერი კეთდება. კედლებიც მუშავდება სპეციალური ხსნარით კვირაში ერთხელ. ნარჩენებს კი დიდი ყურადღებით ვექცევით- საყოფაცხოვრებო ნარჩენები ცალკე თავსდება და სამედიცინო ნარჩენები ცალკე, მაგრამ მაგალითად, გამოყენებულ შპრიცს ნარჩენების ყუთში მოთავსებამდე სპეციალურ ხსნარში ვდებთ. იქნებ ზოგი არ იქცევა ასე და პირდაპირ ნარჩენების ყუთში აგდებს, მაგრამ მე ზუსტად ისე ვაკეთებ, როგორც საჭიროა. ნარჩენები საბოლოოდ გააქვს სპეციალურ მანქანას".

თუ ყველაფერი ისე კეთდება, როგორც გვეუბნებიან და გვიმტკიცებენ, შიშის საბაბიც აღარ გვქონია.

რის მიმართ გამოთქვამენ პრეტენზიებს ფოთის №11 საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები?

დასაწყისი 3-გვ.

აკლია თხუთმეტი წუთი იქამდე პირველი და მეორე ცვლა ერთად გადის დიალოგს იმის შესახებ, თუ რა ჩატარდა და ამის შემდეგ მეორე ცვლა ატარებს მეცადინეობებს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ ბავშვებმა თავი ლაღად იგრძნონ. მათთვის ეს ტექნიკური ხარვეზები არ არის შემაფერხებელი იმისთვის, რომ ლაღები იყვნენ. მიდის თამაშები, მეცადინეობები და რაც შეეხება პრობლემებს, ამას უფრო უფროსები გრძნობენ - მშობლები, თანამშრომლები".

ჩვენ ასევე გავესაუბრეთ მეთერთმეტე საბავშვო ბაღის ექთანს, მანანა კვარაცხელიას, რომელმაც გვითხრა, რომ სამედიცინო და სანიტარული კუთხით ყველაფერი რიგზეა. სამედიცინო თვალსაზრისით ყოველ დილით ამოწმებენ სისუფთავეს,ჰიგიენას. მისი თქმით, ყოველი პარასკევი მათთვის სანიტარული დღეა და გარდა იმისა, რომ ადგილობრივი გაერთიანებიდან დადის სამ კაციანი ჯგუფი, რომელიც დეტალურად ამოწმებს ყველაფერს, როგორც ცნობილი გახდა ჩვენთვის, თვეში ერთხელ ზუგდიდიდან ჩამოდიან სანიტარული ზედამხედველობის წარმომადგენლები და ახდენენ მუდმივ მონიტორინგს.

მშობლები ამბობენ, რომ პრეტენზია არ აქვს პედაგოგების პროფესიონალიზმზე, მათ გულმოდგინებასა და პატარების სიყვარულზე. მთავარი პრობლემა არსებული მდგომარეობაა, რომელშიც მათ პატარებს უწევთ ყოფნა.

როგორც მშობლებმა გვითხრეს, ცოტა იმედი მიეცათ, რომ მათ ბაღსაც დაადგება საშველი და გაკეთდება. ბაღის გაურემონტებელი შენობის გარდა მათთვის ერთ-ერთ პრობლემას უგზოობაც წარმოადგენს, რის გამოც ბავშვები ბაღში ვერ მიყავთ, განსაკუთრებით უამინდობის დროს. მათი თქმით ბაღს არ აქვს ნორმალური ფანჯარა, კარი. ამის დასადასტურებლად ერთ ფაქტსაც იხსენებენ, როცა ბაღში შემოსვლის დროს ერთ-ერთ მშობელს ჭიშკარი ფეხზე დასცემია. შიშობენ, რომ ასეთი საფრთხე ბავშვებსაც შეიძლება დაემუქროს

უსახლკარო ოჯახები დახმარებას ითხოვენ

დასაწყისი 3-გვ.

ბის იმედი და ეშინიათ, რამდენიმე თვის გასვლის შენდეგ ქუჩაში არ აღმოჩნდნენ. ჩვენდა გასაკვირად, ერთადერთი ოჯახი აღმოჩნდა, რომელიც სოციალური სააგენტოს მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამს: „მერიამ გვითხრა 100 ლარის ფარგლებში იშოვეთ საცხოვრებელი ფართები და ჩვენ ქირას გადავიხდით, 6 თვის შემდეგ ისევ ახალ სახლში გადაგიყვანთ სადმეო. ასე ხომ არ ვიცვლით სახლებს მომთაბარეებივით, სოციალური სააგენტო ძალიან გვეხმარება, კმაყოფილები ვართ. კრივის ფედერაციაც გვეხმარება, მრცხვენია უკვე მასწავლებლებისა, ისეთ ყურადღებას გვაქცევენ. ეს ბინა ჩემს სახელზე არაა, ამიტომ ზურგი არ მაქვს, რომ მოვითხოვო ახალი ფართი, მაგრამ უსახლკაროდ ხომ არ ვიქნებით, ბინა რომ ვიქირაო და 2 თვის შემდეგ გადახდა შემიწყვიტონ? პურის ფული არ მაქვს ქალს და ბინის ქირა როგორ უნდა გადავიხადო, შეშა 15 მარტს მოიტანეს პირველად მთელი ზამთრის განმავლობაში, დამთავრდა ზამთარი და ახლა მოიტანეს შეშა".



ჯანო იზორიას გამარჯვება ფოთის გამარჯვებაა (დაუმესიჯეთ ნომერზე 95335)

თამუნა ჭითანავა
ფოთი

ფოთელი მსახიობი, ნიჭიერი ახალგაზრდა ჯანო იზორია პროექტ „ცეკვავენ ვარსკლავების" მონაწილეა. მან წარმატებით გაიარა სამი საკონკურსო ტური. ჯანომ უკვე შექმნა არა ერთი სახასიათო როლი როგორც თეატრის სცენაზე, ასევე კინო ეკრანებზე და დაამახსოვრა მაყურებელს თავი.

ყოველ ორშაბათს ჯანოს გულშემატკივრები ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში იკრიბება და საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე გულშემატკივრობს. პროექტის შემდეგ რეკავს და ამით ცდილობს გამოხატოს მადლიერება და სიყვარული ყველა გულშემატკივრის მიმართ.

ფოთის თეატრის დირექტორის, თენგიზ ხუხიას აზრით „ჯანო არის ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მსახიობი არა მხოლოდ ფოთის თეატრში. რეალურად ამ კონკრეტულმა პროექტმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ჯანოს პოპულარობას, ამ პროექტს სჭირდება ვარსკვლავები, აქედან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი ჯანო არის ვარსკვლავი. ჯანოსთვის ეს მხოლოდ დასაწყისია, მას კიდევ უფრო მეტი შეუძლია და დარწმუნებული ვარ, ის ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევს". რაც შეეხება ფოთის თეატრთან ჯანოს ურთიერთობას, ის 2005 წელს სწორედ ხუხიას თეატრში მოსვლიდან იწყება. „მაშინ გია სურმავა და იზორია იყვნენ თბილისის თეატრალურის სტუდენტები, მათ შევთავაზე ფოთში დაბრუნება და საქმის ერთად კეთება. თუ როგორ გამოგვივიდა ეს და ფოთის თეატრი როგორ სიმაღლეზეა სხვა თეატრებთან შედარებით ხალხმა უნდა განსაზღვროს"- გვითხრა ხუხიამ. ის დარწმუნებულია, რომ ჯანო პროექტის გამარჯვებული გახდება. მაგრამ მარტო ჯანოს მონდომება, რომ არ კმარა ესეც ფაქტია, ამიტომ ის ფოთელებს მოუწოდებს, რომ დაუმესიჯონ ჯანოს „თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვ ყველას, რომ არ დაიზარონ და დაუმესიჯონ ჯანოს ნომერზე (95335), რადგან ეს არა მხოლოდ ჯანოს, არა მარტო ფოთის თეატრის არამედ ეს იქნება ქალაქის გამარჯვება".

ფოთელთა თანადგომა ჯერჯერობით ჯანოს არ აკლია, რადგან ჯანომ და ფოთელებმა მესამე ტური წარმატებით გადალახეს და ვიმედოვნებთ, რომ სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. ჩვენი გაზეთი წარმატებებს უსურვებს ჯანო იზორიას.



ფოთელების მოსაზრება ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე

ბოლო პერიოდში მიმდინარეობს მსჯელობა საქართველოში ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული ნივთიერება დასაშვებია, რადგან მას ადამიანი თავისი ნებასურვილით იღებს. ზოგი კი პირიქით - მიიჩნევს, რომ მისი საქართველოში შემოტანა დაუშვებელია. ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ბრიგადის იურისტის ოჯახის წევრებს, რომელთა თხოვნით მათ სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ. მათ ჩვენს დასმულ კითხვას კითხვითვე უპასუხეს: „თქვენ რას მეტყვით, კარგია საქართველოში ნარკოტიკების რეალიზაცია? ან მითხარით, რით არის ნარკოტიკი სასარგებლო? მე პირადად ოთხი შვილი მყავს, სამი ბიჭი და ერთი გოგონა და რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ ეს საფრთხე ჩემს შვილებსაც ემუქრება. მე ვარ საქართველოს ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, რომელიც ნარკოტიკების რეალიზაციის სასტიკი წინააღმდეგია და ვფიქრობ აუცილებელია, რომ საქართველოში მისი შემოტანა აიკრძალოს". გავესაუბრეთ მოქალაქეებსაც:

მარი ფიფია: „საქართველოში ნარკოტიკების შემოტანა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ის ჯანმრთელობას საკმაოდ აზიანებს და ხშირია ემოხვევები, როცა მსხვერპლიც მოჰყვება. ამიტომ ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანა საქართველოში უნდა აიკრძალოს და არავითარი დეკრიმინალიზიცია საჭირო არ არის ".

მარი ფუტკარაძე: „ნარკოტიკი ნივთიერებაა, რომელიც ჯანმრთელობას აზიანებს. საქართველოში სა საერთოდ ყველგან, უნდა იკრძალებოდეს, ამიტომ მისი ქვეყანაში შემოტანა ძალიან ცუდია".

სოფო გუჯაბიძე: „ნარკოტიკი მისაღები არ არის. აუცილებლად უნდა აიკრძალოს. ეს ნივთიერება საქართველოში დასაშვები რომ გახდეს, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ავდმოჩნდებით".

ნინო კომახიანი: „ალბათ დამეთანხმებით, რომ ყველას გააჩნია საკუთარი აზრი ამ თემასთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ თუ ადამიანი ნარკოტიკულ ნივთიერებას იღებს, ეს თავისი სურვილით ხდება და სხვას მის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ აქვს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია და ჯანმრთელობას აზიანებს, თუმცა ეს ადამიანის პირადი ცხოვრებაა და ჩვენ უფლება არ გვაქვს, მის ცხოვრებაში შევიჭრათ".

თამარ ჩხეიძე: "როცა წინა ხელისუფლების დროს "პლანის" მოწევისათვის ლამის მთელი ცვხოვრება ციხეში აჯენდნენ ადამიანს, ამას რა თქმა უნდა არ ვეთანხმები, მაგრამ დეკრიმინალიზაცია და ასე ვთქვათ, რეკლამების კეტება, სასურველი არ არის. ახალგაზრდებს ისედაც უჭირთ ჯასადი ცხოვრების წესით ცხოვრება, სამსახურს ვერ შოულობენ და კიდევ ცდუნება რაგაცით, საჭირო არ არის".

რატომ ხუჭავენ თვალს და რატომ აფარებენ ხელს ფოთში კანონდამრღვევებს?

დასაწყისი პირველ გვერდზე

და როცა მეორედ მივაკითხეთ ზედამხედველობის სამსახურს, გარკვეული ზომები უკვე მიღებული ქონდათ, „ურჩი მძღოლების" მიმართ.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიშა სარიშვილის განმარტებით: „სკვერებზე მანქანების დგომის პირდაპირ ამკრძალავი კანონი არა გვაქვს. გვაქვს სკვერების გაჩეხვა - განადგურებასთან დაკავშირებული კანონი. მაგრამ თუ რაიმე ზღუდავს სივრცეს და უშლის გადაადგილებაში ხელს, მაშინ გვაქვს 132,2 მუხლი - საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვა. ჩვენ ვიყავით მაგ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ სკვერში. ერთ-ერთი მანქანა, რომელიც სისტემატიურად დგას სკვერში, იმავე კორპუსში მაცხოვრებელს ეკუთვნის, რამდენჯერმე ვიყავით და სახლში არ დაგვხვდა, ახლა ვადგენთ გაფრთხილების ფორმას, რომელსაც საქარე მინაზე გავუკრავთ. გაფრთხილება მიიღო ასევე ერთ-ერთი მანქანის მძღოლმა, რომელსაც მას შემდეგ მანქანა იქ არ დაუყენებია. თუ მანქანები გაფრთხილებას არ გაითვალისწინებენ, მოგვიწევს დაჯარიმება, ჩვენთან მაგ კუთხით მკაცრი კანონებია, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის ჯარიმა შეადგენს 500 ლარს. მართალია, სამსახური არ აჯარიმებს დამრღვევს, ჩვენგან ეს საქმე გადაეცემა სასამართლოს, დანარჩენი მოსამართლის პრეროგატივაა. ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენეთ რეგიონული გარემოს დაცვის სამსახურიც".

სარიშვილმა საპატრولო პოლიციის თანადგომაზეც გააამახვილა ყურადღება: „მართალია. საპატრულოს ეს საკითხი არ ეხება, მაგრამ საპატრულო ეკიპაჟმა, რუპორით რომ გამოაცხადოს და გაფრთხილება მისცეს ურჩ მძღოლებს, ხალხი უფრო გაითვალისწინებს. თქვენმა და ჩვენმა ერთობლიმა მუშაობამ უკვე შედეგი გამოიღო".

თუ ჩვენი სახლის გარეთ არსებულ გარემოს -იქნება ეს ქუჩა, სკვერი, პარკი თუ სხვა ადგილი მოვუფრთხილდებით და დავიცავთ, სწორედ ესეც გახლავთ სახელმწიფოებრივი აზროვნება. ჩვენი ქვეყანა ჩვენი პასუხისმგებლობაა.

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

მართალია,ქვეყანაში არჩევნების ჩატარების თარიღი ჯერ კიდევ დავის საგანია „ორთა პირველობის" გამო, მაგრამ პოლიტიკური გამოცოცხლება ნამდვილად იგრძნობა. ზოგი ღიად აფიქსირებს სამზადისს, ზოგიც ჯერჯერობით თავს იკავებს და არ გვიმხელს პოლიტიკურ მიზნებს. რა მდგომარეობაა ამჟამად ფოთში, როგორ ემზადებიან არჩევნებისათვის პარტიები და როგორ აფასებენ თავიანთ შანსებს, ამის გასარკვევად პარტიების ლიდერებს შევხვდით. ჩვენი გაზეთი სისტემატურად გააშუქებს სხვადასხვა პარტიების ლიდერთა მოსაზრებებსა და გაგაცნობთ მათ სამომავლო გეგმებს. პარტიათა გაცნობას „მემარცხენე ალიანსით" დავიწყებთ. იგი ჯერ კიდევ "ახალგაზრდა" პარტიაა ფოთში და ლეიბორისტული პარტიიდან გამოსულებმა შექმნეს. ფოთში პარტიას ჯერჯერობით მხოლოდ წარმომადგენლები ყავს, ოფისის გახსნას რამდენიმე დღეში გეგმავენ. ჩვენ ამ პარტიის კორდინატორს აკაკი ცაგურიას გავესაუბრეთ: „ახლადშექმნილი პარტია ვართ, პარტიის ლიდერი კახა ძაგანია გახლავთ. არჩევნებისათვის სამზადისი უკვე დავიწყეთ, ჩვენი ოფისები გახსნილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. რამდენიმე დღეში გაიხსნება ფოთშიც, აქტიურად ამის შემდეგ დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას. პარტია ცდილობს მხარი დაუჭიროს დღევანდელ ხელისუფლებას ისეთი საკითხებისა და პროგრამების განხორციელებაში, რომელიც ქვეყნისათვის სასიკეთოა. ის საკითხები, რომლებშიც ეწინააღმდეგებიან მთავრობას,პარტია ცდილობს, თავად მოაგვაროს. პარტიის მთავარი მიზანია, ხალხის დახმარება და გვერდში დგომა". პარტიის ნაკლებცნობადობის მიუხედავად, ცაგურია იმედოვნებს, რომ ხალხის მხარდაჭერას მოიპოვებს.

"მემარცხენე ალიანსისგან" განსხვავებით, „თავისუფალი საქართველოს" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ვეფხვია ცომაიას ჩამოყალიბებული აქვს სამომავლო გეგმები: "პარტიაში ფოთელები მინიმალური რაოდენობით არიან გაწევრიანებულები. თუმცა, შემოდგომა გვიჩვენებს რეალურ სურათს, როდესაც „ქართული ოცნება" ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაში შევიდა, ნათელი გახდა, რომ ერთმანეთთან ვითომ „კამათში" ყველა დაპირება დაივიწყეს. ვერც 100 ქარხანა ნახა ხალხმა და ვერც მილიონი ხე, ვერც გაზრდილი პენსია, სამუშაო ადგილი და დაწეული კომუნალური გადასახადები. რით უნდა ამაყობდეს ეს ხელისუფლება? „პლასტელინის პრეზიდენტით" თუ პარლამენტით, რომელიც რინგადაა ქცეული. ერთი ნაბიჯით წინ მივდივართ და სამით უკან. ზოგ პარტიას ფსბ მართავს, ზოგს "ცრუ". ცომაიას აზრით, ფოთელები ივანიშვილის და ბესელიას არჩევით შეცდნენ, რადგან ეგონათ, ივანიშვილი ააყვავებდათ. ცომაიას წინასწარმეტყველებით, კოალიციის დაშლის შემდეგ,ბევრი პარტია, რომელიც კოალიციას ავსებდა, საერთოდ ვერ მოხვდება მომავალ პარლამენტში: „ხალხმა სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს, ვის აძლევს ხმას, მილიონერს თუ ვინც იზრუნებს მათ მომავალზე. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიტყვებია „100% ქართველის ხმა და მსოფლიო უკან დაიხევს".

პარტია „თავისუფალი საქართველო" ემიჯნება სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ალიანსებს, მათი აზრით, სამხედრო ალიანსები ზიანს აყენებს ქვეყნის განვითარებას: „ჯერ კიდევ 2003 წლიდან სააკაშვილის რეჟიმი ქართველ ხალხს პირდებოდა ნატოში გაწევრიანებას. იგივეს იმეორებს ეს ხელისულება. მათი მოსვლის შემდეგ კი 300 მეტრით მიიტაცეს რუსმა ოკუპანტებმა ჩვენი მიწა. 13 წლის განმავლობაში ათეულობით ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა ავღანეთის სამშვიდობო მისიის შესრულებისას, რასაც „თავისუფალი საქართველო" კატეგორიულად ეწინააღმდეგება".

„თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო პროგრამაში პენსიების გაზრდა 220 ლარამდეა გათვალისწინებული, ასევე ამომრჩეველს საპენსიო ასაკის დაწევას პირდებიან - მამაკაცებისათვის 60, ხოლო ქალებზე 55 წლამდე, მრავალშვილიან დედებს კი 50 წლიდან პენსიას "უნიშნავენ". ასევე პედაგოგების ხელფასებს ზრდა, კომუნალური გადასახადების დაწევა, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას რუსეთის ფედერაციასთან, მოლაპარაკებების დაწყება ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით - ესაა მათი პროგრამის მთავარი საკითხები. რაც შეეხება ფოთს, ცომაიას აზრით: „ფოთი უნდა გახდეს ტურისტული და კულტურული ღირებულებების ქალაქი. ფოთს უნდა ქონდეს იდეალური სანაპირო, უნდა გამაგრდეს სანაპირო ზოლი. ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო უხვი ნალექის დროს ქუჩების დატბორვის თავიდან აცილება. უნდა მოწესრიგდეს არა მარტო ცენტრი, არამედ პერიფერიებიც. კატეგორიულად უნდა მოეთხოვოს თევზის გადამამუშავებელ დირექციას ფილტრების დამონტაჟება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს მეთევზეთა პრობლემა". მართალია, მეტად უხვი დაპირებაა, მაგრამ ამაზე უხვიც მოუსმენია ამომრჩეველს და იმედგაცრუებაც უგემია, ამდენად, საინტერესოა, რამდენად ენდობა ფოთელი მოსახლეობა ამ დაპირებებს. ცომაიას თქმით, არ სურს საკუთარი თანაქალაქელების მოტყუება, ამიტომ ფოთელების თანადგომა სჭირდება. იგი ცნობილი დევიზით - „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის" და ხვალინდელი დღის იმედით დაგვემშვიდობა.

საარჩევნოდ გააქტიურებას „ნაციონალური მოძრაობა" აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ გეგმავს. კანდიდატის ვინაობასაც როგორც ყველა დანარჩენი პარტიის წევრები ისინიც ჯერ არ ასახელებენ. მათი თქმით საარჩევნო სამზადისი ნაწილობრივ დაიწყეს, თუ რას გულისხმობენ, ამაზე ნაციონალური მოძრაობის და საკრებულოს წევრი ირაკლი დუნდუა გვპასუხობს: „საარჩევნო სამზადისი ნაწილობრივ დავიწყეთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ კი უფრო გავაქტიურდებით. ამჯერად, ხდება იმ ადამიანების შერჩევა, ვისაც საარჩევნო გამოცდილება აქვს. პარალელურად მიმდინარეობს მზადება შტაბების დაკომპლექტებისთვის. თუმცა, ჯერ მხოლოდ შერჩევის სტადიაში ვართ. ხოლო რაც შეეხება კანდიდატს, მაისში დაგეგმილ პოლიტსაბჭოზე ვიმსჯელებთ ამ საკითხზე".

როგორც დუნდუამ გაგვიმხილა, ამჯერად ნაციონალებს ახალი საარჩევნო ლოზუნგი ექნებათ - „ეკონომიკის გაზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა", და სჯერათ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ხალხი კვლავ გამოუცხადებს ნდობას.

თუ ვის გამოუცხადებს ნდობას ქართველი ხალხი და ვის მისცემს ქვეყნის მართვის მანდატს ეს შემოდგომაზე გამოჩნდება.

ᲒᲝᲩᲐ ᲭᲐᲑᲣᲙᲐᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ

ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

16 აპრილს, ზუგდიდის კულტურის ცენტრ „ოდიშში", გოჩა ჭაბუკაიძისა და ახალგაზრდა პოეტების საღამო გაიმართა.

გოჩა ჭაბუკაიძე წლების წინ საზოგადოებამ გაიცნო გადაცემა „ეტალონის" საშუალებით, რომელშიც იგი ანსამბლ „ეტალონ კრუიზის" სოლისტი გახლდათ. მას შემდეგ მონაწილეობა მიიღო პროექტ „ნიჭიერში", სადაც ფინალში გავიდა და სწორედ ამ პროექტის საშუალებით ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ამან განაპირობა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქში მისი სოლო კონცერტების ჩატარება. კონცერტის ჩატარების იდეა ლაშა ბიბიჩაძესა და ლიკა ჭელიძეს ეკუთვნით. ეს არის ერთგვარი ტურნე, რომელიც საქართველოს ქალაქებს მოიცავს. ზუგდიდში გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ასევე პოეტებმა: თემურ ელიავამ, ლაშა ბიბიჩაძემ და ჯანო შენგელიამ.

როგორც კონცერტის ერთ-ერთმა მონაწილემ, ჯანო შენგელიამ გვითხრა ზუგდიდელმა მსმენელებმა კარგად მიიღეს: „ზოგადად ასეთ საკითხებზე ნაკლებად ვსაუბრობ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სითბო და სიყვარული, რომელიც მაყურებლებიდან მოდიოდა. ყველაფერი იდეალურად იყო, იმაზე უკეთესადაც კი ვიდრე ჩვენ მოველოდით".

ღონისძიების მხარდამჭერი იყო ზუგდიდის მერია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა და კულტურის ცენტრი „ოდიში". კონცერტი მიმდინარეობდა

ერთ-ერთი ორგანიზატორის ლაშა ბიბიჩაძის თქმით: „იდეა, გაგვეკეთებია გოჩა ჭაბუკაიძის ტურნე მთელს საქართველოში, ლიკა ჭელიძისგან წამოვიდა, რასაც მეც და ბატონი გოჩაც დიდი ენთუზიაზმით ავყევით და შევუერთდით. პირველი კონცერტი ჩავატარეთ, გოჩას მშობლიურ მხარეში, ახმეტაში. შემდეგ მოყვა ალვანის და ყვარლის კონცერტები, ამით კახეთის მხარე ნაწილობრივ მოვრჩით. 16 აპრილს ზუგდიდს ვესტუმრეთ და საკმაოდ გემოვნებიანი მსმენელის წინაშე მოგვიწია წარსდგომა. ტურნე გაწერილია ზაფხულის ბოლომდე საქართველოს ყველა ქალაქზე, ხოლო სექტემბერში დამაგვირგვინებელი კონცერტი თბილისში გაიმართება. ჩვენი ღონისძიებები ასევე შეზავებულია ახალგაზრდა პოეტების ჩართვებით, რითაც დამატებით ვალამაზებთ იმ საათნახევრიან პროგრამას,რასაც მოსული მსმენელი იღებს ჩვენგან. რა თქმა უნდა ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანი,რომელსაც უნდა ვესტუმროთ, ფოთია, ვიმედოვნებ ძალიან მალე ვესტუმრებით ჩვენს ზღვისპირა მხარეს, რისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარება დაგვჭირდება, რაც გამოიხატება დარბაზის და აპარატურის გამოყოფაში და რესურს ცენტრის საშუალებით ინფორმაციის გავრცელებაში. მხოლოდ ამ მცირე მოთხოვნებით შემოვიფარგლებით ყველა მხარეში, ვინაიდან მთლიანი ტურნე სპონსორების და დაფინანსებების გარეშე ტარდება".

ორგანიზაცია „ორიელის" მიერ დაგეგმილი ტურნეს ფარგლებში. „ორიელის" დირექტორის ლიკა ჭელიძეს თქმით: „ზუგდიდის კონცერტი რიგით მეოთხე იყო ჩვენი ტურნეს ფარგლებში. ტურნე კახეთის რეგიონიდან დავიწყეთ. საოცარი შედეგი აჩვენა კახეთის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით გამოვარჩევ ყვარელს. ზუგდიდში ასევე თბილი დახვედრა და საოცარი ემოცია იყო. როგორც სხვა კონცერტებზე, იქაც რამდენჯერმე წამოდგა მაყურებელი აპლოდისმენტების დროს. მოკლედ, რომ შევაჯამოთ სამეგრელოს სტარტი ნამდვილად ღირსეული აღმოჩნდა. რაც შეეხება გოჩასთან ურთიერთობას, დიდი ხანია მომღერლებთან და ჯგუფებთან არ მიმუშავია, როგორც პროდიუსერს, მაგრამ ალბათ გოჩა ის ერთადერთი მუსიკოსია, ვისთანაც მუშაობაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ჩვენი შეხვედრა სულ პირველად მეგობრების რჩევით მოხდა და თანამშრომლობა შედგა. ტურნეს მიზანი კი მთელი საქართველოსთვის უნიჭიერესი მომღერლის გაცნობაა. უკლებლივ ყველა რეგიონს ვეწვევით. რა თქმა უნდა, გვაქვს სამომავლო გეგმები, მათ შორისაა საფინალო კონცერტი თბილისში და გასტროლები საზღვარგარეთ, საიდანაც ემიგრანტების დიდი გამოხმაურებაა".

ლიკა ჭელიძესთან საუბრისას გავიგეთ ისიც, რომ მსგავსი კონცერტი ფოთშიც იგეგმება, კონცერტის ორგანიზატორის თქმით, მასში მონაწილეობას გოჩა ჭაბუკაიძესთან ერთად მიიღებს ასევე ფოთის ადგილობრივი ხელოვანი ადამიანები და მოწვეული პოეტები. იგი იმედოვნებს, რომ კონცერტი ანშლაგით ჩაივლის, რადგან უკვე გამოხატეს დიდი სიხარული ამ იდეის გაზიარებისას შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა. დარწმუნებულები ვართ, ჩვენი თანამოქალაქეები მართლაც ღირსეულად მიიღებენ ჩამოსულ სტუმრებს.



რა პრობლემებს აწყდება მოსახლეობა სოფლის კრებების ჩამოყალიბებისას

რამდენიმე ათეული წელი გავიდა, რაც ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდა და ამან თავისი ცუდი შედეგი გამოიღო. ახლა ჩვენ ამ შედეგის დაძლევა გვიწევს

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებისათვის მუნიციპალიტეტებში სოფლის საერთო კრებების ჩატარება უკვე დაიწყო. თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აღნიშნავს, მოსახლეობის ინფორმირების და კრებების ჩამოყალიბების კუთხით, პრობლემები არსებობს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 22 ივლისს მიღებული კანონი მუნიციპალიტეტებში სოფლის/დაბის/ქალაქის საერთო კრებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საერთო კრება დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ამ ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს, თუმცა, კრებების შედეგების შესახებ სხვადასხვა სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა გამოცდილება აქვს.



როგორც სამოქალაქო განვითარების სააგენტოს ("სიდა") ხელმძღვანელი ზვიად დევდარიანი აღნიშნავს, მისი ორგანიზაციის მიერ, სოფლებში ჩატარებული 80 შეხვედრიდან გაირკვა, რომ თვითმმართველობები ერიდებიან საკუთარი ინიციატივის აქტიურად გამოხატვას და სოფლის კრებების მიმართ განსაკუთრებული ენთუზიაზმი არც მოსახლეობაში შეინიშნება:

"ჩვენ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 80-მდე სოფელში შევედით; ვიმუშავეთ როგორც მუნიციპალიტეტებთან, ასევე მოსახლეობასთანაც, რომლებთანაც საინფორმაციო შეხვედრები გვქონდა. გამოირკვა, რომ ზოგან თვითმმართველობები ერიდებიან საკუთარი ინიციატივის აქტიურად გამოხატვას, შეინიშნებოდა რომ სამინისტროდან ელოდებოდნენ დავალებების მიღებას. მეორე პრობლემა კი ისაა, რომ განსაკუთრებული ენთუზიაზმი სოფლებშიც არ შეინიშნებოდა. თუმცა, მაინც ვცდილობდით, რომ მოსახლეობისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ყველა იმ საფეხურის შესახებ, რაც უნდა გაიაროს ამ პროცესმა ინიციატივის გამოჩენიდან – კრების ჩამოყალიბებამდე.

კანონმდებლობით კრების ფორმირების რამდენიმე ვერსია არსებობს – ერთი მხრივ, შეიძლება გამგეობა იყოს ინიციატორი და მეორე მხრივ, თვითონ მოსახლეობა", – აღნიშნავს დევდარიანი და დასძენს, რომ კრების მოწვევის და ჩამოყალიბების პროცედურა რთულია.:

"იმ შესაძლებლობებს, რასაც კრება იძლევა თუ შევადარებთ პროცედურას, რაც მოსახლეობამ უნდა გაიაროს კრების ჩამოსაყალიბებლად, ერთმანეთთან შესაბამისობაში მთლად ვერ მოდის. მაგალითად, კომპეტენციების და უფლებამოსილებების ნაწილში მინიმალისტურია ის ვერსია, რაც დღესდღეობით კანონში გვაქვს. რადაცნაირად უნდა მოხდეს მოსახლეობის წახალისება, რომ მოსახლეობა თვითმმართველობასთან კომუნიკაციაში აქტიურად ჩაერთოს. თითქოს რჩეული არის იმის შესაძლებლობა, რომ სოფლის მიერ არჩეული ადამიანი პირდაპირ იყოს თვითმმართველობასთან კავშირში, მაგრამ მის არჩევამდე, კრების მოწვევა და ჩამოყალიბება იმდენად რთული პროცესია, თუ ამ ადამიანებს ვინმე არ დაეხმარა, განხორციელება რთული იქნება. გამოდის, რომ რჩება მეორე ვერსია, გამგეობების ინიციატივით მოხდეს კრებების მოწვევა. აქ კი, სამწუხაროდ, შეიძლება ეს კრებები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ. ამის პრაქტიკული მაგალითები უკვე გვქონდა.

როგორც გითხარით, 80-მდე სოფელში იყო საინფორმაციო შეხვედრა. ნაწილში წავახალისეთ კრებების შექმნის პროცესი; შეტანილია განცხადებები, რასაც წესით, კრების ჩამოყალიბება უნდა მოყვეს. დაახლოებით 30-40 სოფელში რომ შეიქმნას, ეს უკვე მიღწევა იქნება. დავაკვირდებით, რამდენად რთული იქნება პროცესი; თუ აღმოჩნდება, რომ ტექნიკურ სირთულეებთანაც გვაქვს საქმე და სავარაუდოდ იქნება კიდეც, ამ საკითხს სხვა ფორმატში დისკუსიის საგნადაც გავხდით. თუ გვინდა რეალურად წახალისდეს მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში, ალბათ, ამ კრების შექმნის პროცედურებიც უფრო მარტივი უნდა იყოს, რომ ადამიანებს, ძალიან დიდი ძალისხმევის გარეშე უნდა შეეძლოთ ფორმალიზება და არა ისე რთულად, როგორც ეს დღეს კანონმდებლობით არის მოცემული", – აღნიშნავს დევდარიანი.

მისივე თქმით, კანონმდებლობის გამარტივების გეგმა ჯერჯერობით არ აქვთ, თუმცა, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამაზეც იფიქრონ:

"კანონს ვინც წაიკითხავს, დაიბნევა, იმდენად ბევრი გზა და საფეხურია გასავლელი იმისთვის, რომ ინიციატივა გამოითქვას მოქალაქეთა ნაწილის მხრიდან, შემდეგ ეს ინიციატივა კრებად იქცეს. 5-6 საფეხური მაინც არის გასავლელი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს გზა გასამარტივებელი იქნება. რა გზით, ამაზე უკვე ხედვებს შევიმუშავებთ და შემდეგ წარმოვადგენთ. ჯერჯერობით, კრების შექმნის პროცესში ვართ, განცხადებები შევიტანეთ და ველოდებით ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან როგორი ადეკვატური ნაბიჯები იქნება გადადგმული", – ამბობს დევდარიანი.

მისივე თქმით, 80 სოფლიდან, სადაც სიდა-მ შეხვედრა ჩაატარა, არცერთ სოფელში არ დაფიქსირებულა მოსახლეობის მზაობა, რომ კრების ჩატარების სურვილი მათ თავად გამოეთქვათ:

" არსად მოსახლეობამ არ იცოდა ამ კრების შესახებ. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ჩვენც ჩავედით და ადგილობრივმა გამგეობამ პარალელურად ჩაატარა კრება. ოღონდ ეს ძალიან ერთეული შემთხვევებია. სხვაგან, სადაც მივდიოდით, მოსახლეობას ეს ინფორმაცია არ ჰქონდა, არა მხოლოდ სოფლებში, თვითმმართველობებშიც შეხვედრები რომ იმართებოდა, შეიძლება ითქვას, კრებების ორგანიზების კუთხით ყველას ერთნაირი ინფორმირების დონე და მზაობა არ იყო. ზოგან ჰქონდათ ეს ინფორმაცია, გეგმავდნენ კიდეც რაღაცას, ზოგან განხილვის ეტაპზე იყო, ზოგან კი არც ფიქრობდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანია. კანონიც ისეთია, რომ რეალურად, სოფლის კრებების შექმნის ინიციატივა სურვილის ნებაზეა და სავალდებულო არ არის. თანაც, ადგილზე თვითმმართველობები მიჩვეულები არიან ცენტრისგან დავალებას და თუ ეს დავალება სავალდებულო არ არის, ამ ნაწილში მაინცდამაინც დიდი ინიციატივით შეიძლება არ გამოირჩეოდნენ", – ამბობს დევდარიანი და დასძენს, რომ ორგანიზაცია სოფლებში მოსახლეობის ინფორმირებას მანამ გააგრძელებს, სანამ კრებები არ ჩატარდება.

"დაახლოებით ერთი თვე კიდევ ვიმუშავებთ, რომ კრებები ჩავატაროთ. შემდეგ კი ვიფიქრებთ, პროცესი როგორ გავაგრძელოთ", – აღნიშნავს დევდარიანი.

ფონდის "ტასო" ხელმძღვანელი მარინა თაბუკაშვილი, რომელიც სოფლებში არსებულ რეალობას კარგად იცნობს, ამბობს, რომ ამ საკითხზე მუშაობის დაწყებამდე სხვა მოლოდინები ჰქონდათ, თუმცა, ადგილზე რეალურად სულ სხვა პრობლემებია გადასაჭრელი.

მისი თქმით, კრებების ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე მოუწესრიგებელ საარჩევნო სიებშია:

"ჩვენი ორგანიზაციის 13 სხვადასხვა გუნდი 19 სოფელში მუშაობს; თითქმის ყველგან ვაწყდებით პრობლემას, რომ არ არის დამტკიცებული საარჩევნო სიები. თქვენ იცით, რომ რეგისტრირებული ამომრჩევლის 20% მაინც უნდა დაესწროს კრებას, რომ ის უფლებამოსილი იყოს და საქმე ისე წავიდეს, როგორც ამას კანონი ამბობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ სიები დამტკიცებული არ არის. ამის გამო, ჩვენს ჯგუფებს ადგილობრივ გამგეობებთან უწევთ თანამშრომლობა, რომ ეს სიები თვითონ დააზუსტონ, შემდეგ კი, ხელისუფლებამ საარჩევნო სიად, სწორედ ეს გადამოწმებული მონაცემები ცნოს.

ასე იმუშავა სათემო ორგანიზაციამ "ლელი" და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ. ეს კი პროცესს დროში ძალიან წელავს", – ამბობს თაბუკაშვილი.

მეორე სირთულე, რომელზეც ფონდი "ტასოს" ხელმძღვანელი ყურადღებას ამახვილებს, სოფელში რეგისტრირებული მოსახლეობის ადგილზე არყოფნა წარმოადგენს:

"ბევრი ადამიანი, რომელიც რეგისტრირებულია სოფელში, სინამდვილეში იქ არ ცხოვრობს. კანონი კი ამბობს, რომ საერთო კრებას ამომრჩევლის 20% უნდა დაესწროს; ანგარიშობს იმ რიცხვიდან, რომელიც რეალურად იქ არ ცხოვრობს. ეს სირთულე პიკს აღწევს ენგურისპირა სოფლებში, სადაც ნახევარი, თუ მეტი არა, გადასულია გალში და იქ ცხოვრობს, თუმცა ე.წ. "საზღვრის" აქეთ არის რეგისტრირებული. არჩევნების დღეს ეს ხალხი გადმოდის და ხმას აქეთ აძლევს, მაგრამ სოფლის საერთო კრებაზე, შესაძლოა, ვერ გადმოვიდეს. როგორც ყოველთვის, ცხოვრებაში არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები და ამ განსაკუთრებულ შემთხვევებს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს. უნდა დაიწეროს დოკუმენტი, რასაც თვითმმართველობაც გაიზიარებს, რომ თუ ადგილზე არ არის მოსახლეობა, ვერ იკრიბება ამომრჩევლის 20% საერთო კრების ჩასატარებლად, ეს არ არის დასახლება? არის ბევრი სოფელი, სადაც 2 ოჯახი ან საერთოდაც, ერთი ადამიანია დარჩენილი, ეს რეალური კონტექსტი ძალიან კარგად არის გასათვალისწინებელი, როდესაც ასეთი სიახლეები იწერება კანონში. ეს სირთულეები უნდა აღიწეროს; ჩანაწერებს დღიურებივით ვაკეთებთ, რომ ანგარიშში ცალკე თავად, სამომავლოდ გასათვალისწინებელ საკითხებად მივაწოდოთ როგორც დონორს, ასევე სამინისტროსაც", – აღნიშნავს თაბუკაშვილი და დასძენს, რომ სოფლის კრების ჩამოყალიბებას არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მოსახლეობის შეგნებულ მონაწილეობას ამ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში:

"თვითმმართველობა ოდესღაც ამ საკითხს მიადგებოდა, მაგრამ როდესაც ადგილზე მოსახლეობა აცნობიერებს, რომ სოფლისთვის საჭირო საკითხი, თუნდაც ის რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იყოს მოსაგვარებელი, მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს, ამაშია ზუსტად საერთო კრების სიკეთე. ყველა შემთხვევაში ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე კანონმდებლობაში, ეს არის კანონის სიკეთე, რომლის განხორციელებაც მთლიანად მოსახლეობის მზადყოფნაზეა დამოკიდებული. თუმცა, ხალხის მოყვანა ამ კრებაზე და ცნობიერების ამაღლება, მონაწილეობა, ანალიზი სამუშაო საქმეა. თუმცა მე იმას არ ვამბობ, რომ ხალხი მზად არ არის ან წინააღმდეგია. რამდენიმე ათეული წელი გავიდა, რაც ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდა და ამან თავისი ცუდი შედეგი გამოიღო. ახლა ჩვენ ამ შედეგის დაძლევა გვიწევს", – აღნიშნავს მარინა თაბუკაშვილი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია მომზადებულია პროექტის –
"თვითმმართველობაში სოფლის მოსახლეობის ჩართვის მხარდაჭერა"
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო".
შინაარსზე პასუხისმგებელია "საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი".

ეს საინტერესოა

ფოტოკონკურსი ბავშვებისთვის

,,კოლხეთის ვარსკლავი 2016,,

გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში აცხადებს კონკურსს 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სახელწოდებით

,,კოლხეთის ვარსკვლავი 2016,,

თუ გყავთ შვილი ან გიყვართ მნიშვნელოვანი მომენტების დაფიქსირება, მაშინ ეს კონკურსი თქვენთვისაა. გადაუღეთ თქვენს პატარას ორიგინალური ან სახალისო ფოტო (აუცილებელია, ფოტო იყოს კარგი ხარისხის), დაასათაურეთ, მიუთითეთ ბავშვის სახელი, გვარი და ასაკი, თქვენი მობილურის ნომერი, შემდეგ კი გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: მტავარიტსამეგრელსპიგმაილ.ცომ. გამარჯვებული გამოვლინდება წნწ. მსნენს.გე ზე ლიკე-ების მეშვეობით. კონკურსის მეორე ტურში გადავლენ ის მონაწილეები, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.. ფოტოები გამოგვიგზავნეთ 5 მაისის ჩათვლით.

სენსაციური განცხადება კარდიოლოგებისგან: მხოლოდ ერთი ჭიქა წყლის ძილის წინ დალევა ინსულტისგან გიხსნით!

მშობლებს ბავშვობიდან რომ მივეჩვიეთ წყლის სმის სწორი რეჟიმისთვის, ჯანმრთელობის უამრავ პრობლემას ავიცილებდით თავიდან.
სასმელი წყლის ფასეულობას ყველა აცნობიერებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ დიდი რაოდენობით წყლის მიღება.
უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს დროს, როცა ვსვამთ წყალს. მოდი, გავარკვიოთ, როდის უნდა დავლიოთ წყალი, რათა ის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს ჩვენი ორგანიზმისთვის!
1. დალიეთ 2 ჭიქა წყალი გაღვიძებისთანავე – ასე შინაგან ორგანოებს აამუშავებთ. აქტიური ნივთიერებათა ცვლა შეუძლებელია წყლის გარეშე. ამასთან, დილიდან სხეულის დატენიანებაც აუცილებელია.
2. იმისათვის, რომ გაიუმჯობესოთ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობა, დალიეთ ერთი ჭიქა წყალი ჭამამდე 30 წუთით ადრე.
3. თუ აბაზანის მიღება გაქვთ გადაწყვეტილი, აუცილებლად დალიეთ ამ პროცედურის წინ წყალი. ის დაბლა დასწევს არტერიულ წნევას. განსაკუთრებით საჭიროა ამის გაკეთება იმ ადამიანებისთვის, ვინც ჰიპერტონიკია.
4. საღამოს მიღებული ერთი ჭიქა წყალი თავიდან აგარიდებთ გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს და დაგიცავთ ინსულტისგან. ძილის წინ წყლის დალევა კიდევ ერთ უსიამოვნებას აგაცილებთ თავიდან – ღამის კოშმარებს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ღამის კოშმარები და ძილის დროს შფოთვა, ხშირ შემთხვევაში, გაუწყლოვანების ბრალია.

იყიდება

ფოთში იყიდება დავით აღმაშენებლის №30 საოფისე ფართი 75 კვმ. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 592 963 311

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 568 42 14 57 ჯემალი
579 70 65 34 ანა

ფოთში იყიდება 60 კვადრატი ფართი, რომელიც როგორც საცხოვრებლად ისე საოფისედაც გამოდგება.
მისამართი: წმინდა ნინოს 32. მსურველები დაგვიკავშირდით
ტელ: 593 36 03 93

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.